ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3784740

ნომერი: AR1570201

თარიღი : 12.01.2018

გაცემის თარიღი : 22.01.2018

გაცნობის თარიღი : 22.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 4 , ჩაჩავას ქუჩა N1 , ლუბლიანას ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლერი მსხვილიძე პ/ნ 09001002090
- თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 111 კორ. 3 ბ. 18

ორგანიზაცია:
- შპს "კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი" კოდი: 404905821

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ვინაიდან იგივე საკითხზე AR1567841 განცხადების განხილვის შედეგად ატვირთული დოკუმენტაციის საფუძველზე პასუხად გეცნობათ, რომ თქვენ მიერ მითითებული ობიექტი (10კვ. ძაბვის გამანაწილებელი სატრანსფორმატორო ქვესადგური)არ ექცევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლით განსაზღვრულ I კლასის შენობა-ნაგებობების მახასიათებლებში.
ამავე დადგენილების 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, III კლასს განეკუთვნება:
ელექტროქვესადგური 35 კ.ვოლტი და 110 კ.ვოლტი; III (ჰიდროელექტროსადგური 1000 კვტ-დან 10 000 კვტ-მდე, ქარის ელექტროსადგური) და IV კატეგორიის (ჰიდროელექტროსადგური 50 კვტ-დან 1000 კვტ-მდე, გეოთერმული ელექტროსადგური) ელექტროსადგურები;
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურის პოზიცია თქვენს საკითხთან დაკავშირებით უცვლელია (მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ატვირთულია არასრული დოკუმენტაცია, კერძოდ: ატვირთულია მხოლოდ ფოტო და ფოტომონტაჟი და არც მოთხოვნის შინაარსშია ასახული საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება) და რადგანაც საპროექტო ობიექტის მახასიათებლები ცდება I კლასის მახასიათებლებს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენ მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.